ქრისტიანული ქველმოქმედება
(მოწყალები გაღება)
(31.01.2021)

ჩვენ ხშირად გვესმის საღვთო ლიტურღიაზე და სხვა საეკლესიო ღვთისმსახურებების დროს ლოცვები და თხოვნები ღმერთის მიმართ, მოწოდებული ,,წყალობისაკენ," ისეთები როგორც: ,,შეგვიწყალენ შენ უფალო, დიდითა წყალობათა შენითა..." ,,რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ;" ,,მოწყალებითა, წყალობითა და კაცთმოყვარებითა მხოლოდშობილთა ძისა შენისა..." ეს და ამის მსგავსი სიტყვები არა ერთგზის ისმის, როდესაც ერთად ვლოცულობთ და მივმართავთ მოწყალე ღმერთს.

ჭეშმარიტება ღმერთის მოწყალებისა იხსნება ბიბლიაში, სადაც ხშირადაა საუბარი იმაზე, რომ ,,ღმერთი მდიდარ არს წყალობითა" (ეფ. 2:4); ,,შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი" (ფს. 102 [103]:8). და როგორც წერს პეტრე მოციქული ,,ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან-იგი მრავლითა მითწყალობითა თვისითა კუალად გუშვნა ჩვენ სასოებად ცხოელად.. სამკვიდრებელად უხრწნელად და შეუგინებლად და დაუჭნობელად დამარხულთა ცათა შინა თქუენდა მიმართ" (1-ღ პეტრე 1:3-4). ამგვარად ჩვენ გვახსოვს მოწყალება და თანაგრძნობა, რომელიც ღმერთმა მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრებაში და ჩვენ თამამად მივენდობით მას, შევთხოვთ მთელს ჩვენს პრობლემებსა და გასაჭირს როგორც ერთიან ეკლესიას. უფალი ისმენს, იღებს ამას და თავისი უმაღლესი სიბრძნისა და სიყვარულის შესაბამისად გვპასუხობს.

ამასთანავე უფალს უნდა, რომ ჩვენც მივემსგავსოთ მას. მოდით და ჩვენც გამოვიჩინოთ მოწყალება და თანაგრძნობა სხვების მიმართ, გავხდეთ მოწყალენი! აი რატომ ამბობს უფალი ,,მცნებებში" ,,ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ" (მათე 5:7). და წმინდა პავლე მოციქული გვამცნობს ჩვენ: ,,შეიმოსეთ უკუე, ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმინდათა და საყუარელთა, მოწყალება შეწყნარება, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, სულგრძელება (კოლ3:12). ჩვენ ჭეშმარიტი სიყვარული უნდა გაგვაჩნდეს სხვა ადამიანების მიმართ და გულწფელნი შეწყნარება, იმის მსგავსი, რომელიც იესომ გამოაჩინა ათასობით მშიერი ადამიანის მიმართ, რომლებიც გაჰყვნენ მას, რათა ესმინათ მისი: ,,განტევება მათი უზმათა არა მნებავს, ნუ უკვე დაცვივენ გზასა ზედა" (მათე 15:32), უთხრა მან თავის მოწაფეებს. და მისი სიყვარულის წყალობით მოხდა უდიდესი სასწაული ,,ხუთი პურის შესახებ," ხუთი ათასი კაცის დაპურებით ყველა წმინდა მოციქული აღწერს იესოს მაშინდელ ამ წყალობას: ,,და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა სნეულნი მათნი" (მათე 14:14). როდესაც უფალმა ქვრივი დაინახა, რომელიც შვილს მარხავდა, მან გულმოწყალება გამოიჩინა და უთხრა მას: ,,ნუ სტირ!" შემდეგ აღადგინა მისი შვილი (იხ.ლუკა 7:13-15).

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ღმერთკაცს იესოს მსგავსად სასწაულების ქმნისა, მოწყალების გამოსავლენად. ამასთან ერთადეს ნიშნავს, თურამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქველმოქმედების ხარისხი, რომელსაც ჩვენ ჩავდივართ გულითადი სიყვარულით. მოდით გავიხსენოთ საწყალი ქვრივი, უფლისგან განდიდებული, იმის გამო, რომ მან შესწირა ტაძარს იერუსალიმში

კონტრატი (იხ.მარკ.12:42). ან სხვა მაგალითი: ზამთარში გზის პირას იჯდა მათხოვარი, ხელგაწვდილი მოწყალებისათვის. ეს ღარიბი შენიშნა გამვლელმა და ძალიან განიცადა, რადგან მასაც არ გააჩნდა ფული რათა მოწყალება გაეღო. მაშინ ორივე ხელით მოიქცია მისი გაყინული ხელები თავისაში და უთხრა: ძვირფასო ადამიანო, მე ეხლა არაფერი გამაჩნია რომ მოგცე, მაგრამ მე ვილოცებ შენთვის, რომ ღმერთი დაგეხმაროს შენ. მათხოვარმა უპასუხა: მადლობა, იმიტომ რომ, შენმა ხელებმა მე გული გამითბო! როდესაც ჩვენს გულებში გვაქვს თანაგრძნობა, იგი მჟღავნდება ბუნებრივად და იღებს კურთხევას.

მოციქული პავლე ხაზს უსმევს, რომ თუ ჩვენ ნამდვილი მისწრაფება გაგვაჩნია სხვებს დავეხმაროთ, ჩვენი კეთილი საქმეები იძენენ ნამდვილფასეულობას: ,,კაცად-კაცადსა ვითარცა გამოურჩევიეს გულითა, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით; რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა" (მე-2-ე კორ.9:7)! სწორედ გულსა აქვს მნიშვნელობა, და არა გაცემულ მოწყალებას. რადგან უსიხარულოა მოწყალების გაცემა იძულებით. უსიყვარულად მოწყალების გაღებით ადამიანი არ იხსნის თავის სულს, მხოლოდ ავლენს მას! თუ ნანობს პირველ რიგში თავის ფინანსურ შეწირულობაზე.

საბოლოოდ, მოდით გავიხსენოთ ძირითადი ოცნება ჩვენი უფალი იესო ქრისტესი ამ საკითხზე, რომელიც ყველამ ვიცით, მაგრამ ხშირად ვივიწყებთ: ,,ხოლო რაჟამს იქმოდი ქველისსაქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა,... რათა იდიდნენ კაცთაგან (მათე 6:1-2). თუ თქვენს მოწყალებას და გაწეულ დახმარებას მოჩვენებითი სახე აქვს, გარწმუნებთ, რომ უკეთესს შემთხვევაში თქვენ მიიღებთ ქებას და ადამიანურ დიდებას. მაშინ არ ელოდოთ წყალობასა და სულერ ჯილდოს თქვენი ზეციური მამისგან (იხ.მათე 6:1-2).

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, როდესაც ჩვენ გულებში ვატარებთ ,,სიკეთესა და სათნოებას" (კოლ 3:12), რისკენაც მოგვიწოდებს ჩვენ წმინდა მოციქული და ვთავაზობთ დახმარებასა და თანაგრძნობას ყველა გაჭირვებულს, ჩვენ ქრისტიანულად ვიქცევით. მხოლოდ ასე მოვიპოვებთ სათნოებასა და უდიდეს მოწყალებას, რომლითაც დაგვაჯილდოვებს ღმერთი გაკეთებული სიკეთისათვის.

საბოლოო ჯამში მოდით მივმართოთ წმინდა იოანე ოქროპირს, რომელსაც მოჰყავს მაგალითად ანგელოზის სიტყვა მიმართული კორნილიუს კეისრისადმი: ,,კორნელიე! ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებელად შენდა წინაშე უფლისა" (საქმე 10:4). და ხსნის ანგელოზის სიტყვას ასე: ,,მოწყალება-ეს ლოცვის ფრთაა. თუ თქვენ არ აქცევთ ლოცვას ფრთად, ის არ აფრინდება. როდესაც თქვენი სული ფრინავს, ის ზეცამდე ადის"(PG 48,1060).

მოწყალებას აჰყავს ადამიანის სული ზეცად!